სანქციადაკისრებულ პირთა სიების ფორმირების წესი და პროცედურა

მუხლის 1. ზოგადი დებულებანი

1. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის (შემდგომ - კომისია) მიერ ტერორიზმთან/ტერორიზმის დაფინანსებასთან ან მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსებასთან შემხებლობაში მყოფ პირთა სიების შედგენის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება.

2. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს სამთავრობო კომისიის მიერ:

ა) გაეროს შესაბამისი კომიტეტისთვის სანქციადაკისრებულ პირთა სიაში პირის შეყვანის ან/და სანქციადაკისრებულ პირთა სიიდან პირის ამოღების საკითხზე მიმართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესსა და პროცედურებს;

ბ) საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს 1373 (2001) რეზოლუციის შესაბამისად პირის სანქციადაკისრებულ პირთა სიაში შეყვანის ან/და სანქციადაკისრებულ პირთა სიიდან პირის ამოღების შესახებ შუამდგომლობის განხილვის წესსა და პროცედურებს.

3. წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლითა და „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხზე მომუშავე სამთავრობო კომისიის დებულებით“ დადგენილი მნიშვნელობა.

მუხლი 2. გაეროს 1267/1989, 1988 და შემდგომი რეზოლუციების საფუძველზე მოქმედი სანქციების კომიტეტისადმი მიმართვა

1. კონკრეტული და დეტალური გარემოებების არსებობის შემთხვევაში, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად მოქმედი, სამუშაო ჯგუფი სამთავრობო კომისიას მიმართავს დასაბუთებული შუამდგომლობით გაეროს შესაბამისი სანქციათა კომიტეტისთვის სანქციადაკისრებულ პირთა სიაში პირის შეყვანის თაობაზე მიმართვის წარდგენის თხოვნით.

2. სამთავრობო კომისია დაუყოვნებლივ, გონივრული საფუძვლის სტანდარტით, განიხილავს სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციასა და მტკიცებულებებს, ადგენს აკმაყოფილებს თუ არა წარმოდგენილი შუამდგომლობა გაეროს უშიშროების საბჭოს

შესაბამისი რეზოლუციით პირის სანქციადაკისრებულ პირთა სიაში შეყვანისთვის დადგენილ კრიტერიუმებს და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) სამუშაო ჯგუფისთვის დამატებითი ინფორმაციის ან/და მტკიცებულებების წარდგენის დავალების შესახებ;

ბ) სამუშაო ჯგუფის შუამდგომლობის დაკმაყოფილებისა და გაეროს შესაბამისი სანქციათა კომიტეტისთვის სანქციადაკისრებულ პირთა სიაში პირის შეყვანის თაობაზე მიმართვის წარდგენის შესახებ;

გ) სამუშაო ჯგუფის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიღებიდან დაუყოვნებლივ, გაეროს სანქციების კომიტეტისთვის მიმართვა უნდა განხორციელდეს გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციით დადგენილი წესითა და მიმართვის სტანდარტული ფორმის გამოყენებით.

4. გაეროს სანქციების კომიტეტისთვის წარდგენილი მიმართვა უნდა მოიცავდეს პირის იდენტიფიცირებისთვის საჭირო ინფორმაციას, საქმის შესაბამის გარემოებებს, პირის სანქცირების საფუძვლებთან დაკავშირებულ შეძლებისდაგვარად დეტალურ ინფორმაციას.

5. გაეროს შესაბამისი კომიტეტის მიერ, ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მიმართვის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სამთავრობო კომისია, თუ ეს შესაძლებელია, დაუყოვნებლივ ატყობინებს სანქციადაკისრებულ პირთა სიაში შეყვანილ პირს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მოქმედი იმ მექანიზმის შესახებ ინფორმაციას, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციით დადგენილი წესით განიხილავს შესაბამისი პირის სანქციადაკისრებულ პირთა სიიდან ამოღებასთან დაკავშირებულ განცხადებებს.

მუხლი 3. 1373 (2001) რეზოლუციის შესაბამისად ტერორიზმთან შემხებლობაში მყოფ პირთა ადგილობრივი სიის ფორმირება

1. სამთავრობო კომისია „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად მოქმედი სამუშაო ჯგუფის ან სხვა სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ წარმოდგენილი კონკრეტული და დეტალური ინფორმაციისა ან/და მტკიცებულებების გონივრული სტანდარტით განხილვის საფუძველზე, აფასებს აკმაყოფილებს თუ არა შუამდგომლობაში მოცემული პირი 1373 (2001) რეზოლუციის მიზნებისთვის პირის სანქციადაკისრებულ პირთა სიაში შეყვანისთვის დადგენილ კრიტერიუმებს.

2. გაეროს უშიშროების საბჭოს 1373 (2001) რეზოლუციის მიზნებიდან გამომდინარე, სანქციადაკისრებულ პირთა ადგილობრივ სიაში შესაძლოა შეყვანილ იქნას:

ა) ნებისმიერი პირი რომელიც ახორციელებს ან სცადა განეხორციელებინა ტერორისტული აქტი, ან ნებისმიერი პირი რომელიც მონაწილეობს ტერორისტული აქტის განხორციელებაში ან ხელს უწყობს ამგვარი აქტის განხორციელებას;

ბ) ნებისმიერი პირი, რომელსაც, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფლობს ან აკონტროლებს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი;

გ) ნებისმიერი პირი, რომელიც მოქმედებს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირის სასარგებლოდ ან მისი ინსტრუქციის შესაბამისად.

3. სამთავრობო კომისია დაუყოვნლებლივ, გონივრულის საფუძვლის სტანდარტით, კონკრეტული და დეტალური გარემოებების არსებობის შემთხვევაში, განიხილავს სამუშაო ჯგუფის ან სხვა სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციასა და მტკიცებულებებს, ადგენს აკმაყოფილებს თუ არა წარმოდგენილი შუამდგომლობა გაეროს უშიშროების საბჭოს 1373 (2001) რეზოლუციის მიზნებისთვის პირის სანქციადაკისრებულ პირთა ადგილობრივ სიაში შეყვანისთვის დადგენილ კრიტერიუმებს და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) სამუშაო ჯგუფისგან ან სხვა სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოსგან დამატებითი ინფორმაციის ან/და მტკიცებულებების მოთხოვნის შესახებ;

ბ) სამუშაო ჯგუფის ან სხვა სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს შუამდგომლობის დაკმაყოფილებისა და შუამდგომლობაში მითითებული პირის ქონებაზე ყადაღის გავრცელების შესახებ;

გ) სამუშაო ჯგუფის ან სხვა სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;

4. სამთავრობო კომისია ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, განიხილავს სანქციადაკისრებულ პირთა ადგილობრივ სიაში შეყვანილი პირის სანქცირების თაობაზე სხვა სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოსთვის შუამდგომლობის წარდგენის საკითხს.

5. სამთავრობო კომისიის მიერ ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის სამთავრობო კომისიის სხდომის ოქმზე ხელმოწერისთანავე.

6. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სამთავრობო კომისია 2 სამუშაო დღის ვადაში, კომუნიკაციის შესაბამისი საშუალებების გამოყენებით, ატყობინებს რელევანტურ პირებს/ორგანოებს სანქციადაკისრებულ პირთა ადგილობრივ სიაში განხორციელებული ცვლილების შესახებ ინფორმაციას.

7. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, თუ ეს შესაძლებელია, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული

მოთხოვნების დაცვით სამთავრობო კომისია სანქციადაკისრებულ პირთა ადგილობრივ სიაში შეყვანილ პირს დაუყოვნებლივ აცნობებს:

ა) სანქციადაკისრებულ პირთა ადგილობრივ სიაში შეყვანის საფუძვლებს;

ბ) ინფორმაციას სანქციადაკისრებულ პირთა ადგილობრივ სიაში შეყვანილი პირის უფლებების შესახებ, მათ შორის:

ბ.ა.) სანქციადაკისრებულ პირთა ადგილობრივი სიიდან პირის ამოღების პროცედურის თაობაზე;

ბ.ბ.) სანქციადაკისრებულ პირთა ქონებაზე ყადაღის მთლიანად ან ნაწილობრივ მოხსნის თაობაზე.

მუხლი 4. სანქციადაკისრებულ პირთა სიაში პირის შეყვანის საფუძველი

1. პირის სანქციადაკისრებულ პირთა სიაში შეყვანის საფუძველი შესაძლოა გახდეს:

ა) ფიზიკური პირის მიმართ მიღებული გამამტყუნებელი განაჩენი, რომლის ძალითაც აღნიშნული პირი ცნობილ იქნა დამნაშავედ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ XXXVIII თავით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში;

ბ) ტერორიზმში/ტერორიზმის დაფინანსებაში ან მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსებაში ჩართულობის საფუძვლით იურიდიული პირის ლიკვიდაციის ან საქმიანობის განხორციელების აკრძალვის თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილება;

გ) ტერორიზმის/ტერორიზმის დაფინანსების ან მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების წინააღმდეგ საბრძოლველად შექმნილი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული გადაწყვეტილება პირის სანქციადაკისრებულ პირთა სიაში შეყვანის თაობაზე;

დ) ამ მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებზე, სხვა სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება;

ე) ინფორმაციის და მტკიცებულებების ერთობლიობა, რომლის საფუძველზედაც ობიექტური დამკვირვებელი პირი დასკვნას გააკეთებდა, რომ პირი რაიმე ფორმით ჩართული იყო „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ XXXVIII თავით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში.

2. სანქციადადებულ პირთა ადგილობრივ სიაში პირის შეყვანის, ამის თაობაზე გაეროს შესაბამისი კომიტეტისათვის ინფორმაციის მიწოდებისა და სანქციადაკისრებული პირისათვის ქონების დაყადაღების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება არ არის დამოკიდებული მხოლოდ ამ პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმისწარმოების არსებობის გარემოებით.

მუხლი 5. სანქციადაკისრებულ პირთა სიიდან პირის ამოღება

1. სამუშაო ჯგუფის მიმართვის საფუძველზე, სათანადო პერიოდულობით, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ერთხელ, სამთავრობო კომისია ამოწმებს არსებობს თუ არა წინამდებარე დოკუმენტის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით ან/და მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებისთვის აუცილებელი გონივრულისაფუძველი და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) სანქციადაკისრებულ პირთა სიიდან პირის ამოღების საკითხზე გაეროს შესაბამისი სანქციათა კომიტეტისთვის მიმართვის წარდგენის თაობაზე;

ბ) სანქციადაკისრებულ პირთა ადგილობრივი სიიდან პირის ამოღებისა და მისი ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების თაობაზე;

გ) პირის საქნციადაკისრებულ პირთა სიაში დატოვების თაობაზე.

2. სამთავრობო კომისია დაინტერესებული მხარის განცხადებას სანქციადაკისრებულ პირთა სიიდან პირის ამოღების თაობაზე განიხილავს განცხადების წარდგენიდან ერთი თვის ვადაში და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) დაინტერესებული მხარის განცხადების დაკმაყოფილებისა და სანქციადაკისრებულ პირთა სიიდან პირის ამოღების თაობაზე გაეროს შესაბამისი სანქციათა კომიტეტისთვის მიმართვის წარდგენის თაობაზე;

ბ) დაინტერესებული მხარის განცხადების დაკმაყოფილების, სანქციადაკისრებულ პირთა ადგილობრივი სიიდან პირის ამოღებისა და მისი ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების თაობაზე;

გ) დაინტერესებული მხარის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებისას სამთავრობო კომისია დაუყოვნებლივ აცნობებს აღნიშნულის თაობაზე სხვა სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოს, თუ არსებობს მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოება.

4. სანქციადაკისრებულ პირთა სიიდან პირის ამოღების თაობაზე გაეროს შესაბამისი სანქციათა კომიტეტისთვის მიმართვის წარდგენა უნდა მოხდეს გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციით დადგენილი წესითა და მიმართვის სტანდარტული ფორმის გამოყენებით.